

დანართი N2

ცვლილება განხორციელდა შპს ორიენტირის დირექტორის

11. 01. 2016 წლის № 01/01 ბრძანებაში

ვამტკიცებ \_\_\_\_\_

დირექტორის რ. მაჭარაშვილის ბრძანება N 01/62

თარიღი: 07.08..2018 წ



# შპს ორიენტირი სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა

2016-2021 წ.წ

## [პრეამბულა]

კოლეჯი „ორიენტირის“ (შემდგომში კოლეჯი) განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია – წინამდებარე ექვს წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში სტრატეგია) )ორიენტირებულია განსაზღვროს კოლეჯის 2016-2021 წ.წ. საქმიანობის 6 წლის განმავლობაში განვითარებისა და განათლების ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრების განსახორციელებელად საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიზნები, ამოცანები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/თანამშრომლები და დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა.

## [ხედვა]

განვითარების სტრატეგია შეესაბამება კოლეჯის მისიასა და მიზნებს, დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს კოლეჯის საქმიანობის სფეროში, მის ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ინტელექტუალურ პოტენციალს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების რაციონალური ანალიზი და განვითარების პროცესში მათი ასახვა წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიის, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტის გამოყენების აუცილებლობას.

## [სავალდებულობა]

ექვს წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ამავედროულად წარმოადგენს კოლეჯის დამფუძნებელთა ნების გამოვლინებას, რომელიც შექმნილია მოქმედი საბაზრო კონიუქტურის ანალიზისა და არსებულ რესურსებთან სადამფუძნებლო მიზნების შეჯერების შედეგად.

სტრატეგია გამოხატავს კოლეჯის საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს და ამდენად სავალდებულოა გასათვალისწინებლად კოლეჯის თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის, კოლეჯის ხელმძღვანელობის ჩათვლით.

კოლეჯის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სტრატეგიით დასახული მიზნების რეალიზებას, ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ემსახურება მათ, მიჩნეულია დამხმარე საქმიანობად და შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ხელს არ უშლია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ.

## [კოლეჯის მისია, მიზნები და ამოცანები]

### [კოლეჯის მისია]

კოლეჯის მისიას წარმოადგენს სამედიცინო, განათლებისა და ბიზნესის სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მაღალ დონეზე რეალიზებული ადამიანური რესურსის მომზადება, რომელიც შეძლებს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში.

### [კოლეჯის მიზანია]

კოლეჯის მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების განხორციელების გზით მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებზე.

### [კოლეჯის ამოცანებია]

კოლეჯის ამოცანებია:

- ა) უწყვეტი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა
- ბ) პოტენციურ დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და გაფართოება;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მოდერნიზება;
- დ) საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა;
- ე) სასწავლო პროცესის თანამედროვე განათლების ხარისხის უზრუნველყოფა
- ვ) ორიენტირში მაღალი ინტელექტუალური და პიროვნული თვისებების მქონე ადამიანური რესურსებისაგან დაკომპლექტებული გუნდის ჩამოყალიბება;

ზ) დამსაქმებლის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური მექანიზმის შექმნა;


თ) პროფესიული სტუდენტების ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის შესაბამისი აქტივობების დანერგვა კოლეჯის ყოველდღიურ საქმიანობაში;

ი) პროფესიული განათლებისადმი საზოგადოების ჯანსაღი ხედვის ჩამოყალიბებისათვის პროფესიული განათლების იმიჯის ფორმირება და ცნობიერების ამაღლება;

კ) ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სასწავლო პროცესში.

# სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის შემუშავების თანმიმდევრობა

კოლეჯის მოცემული სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის ფორმირება განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით:



## [არსებული მდგომარეობის შეფასება]

პირველ ეტაპზე კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით განხორციელდა შეფასება კოლეჯში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის. კერძოდ:

- ✓ კოლეჯის სასწავლო პროგრამები;
- ✓ პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
- ✓ პოზიცია საგანმანათლებლო ბაზარზე;
- ✓ სწავლების ხარისხი;
- ✓ ფინანსური მდგომარეობა;
- ✓ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

## [ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა - SWOT ანალიზი]

SWOT ანალიზის დახმარებით მაქსიმალური სიზუსტით შეფასდა კოლეჯის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები.

SWOT ანალიზის გაკეთებისას მონაწილეობას იღებდნენ, როგორც კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორი პრაქტიკის ობიექტები. ჩატარდა მინი გამოკითხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს შორისაც. (იხ.დანართი N1 SWOT ანალიზი)

## [პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა/განსაზღვრა]

SWOT ანალიზზე დაყრდნობით განხორციელდა პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა/განსაზღვრა. კოლეჯის ხელმძღვანელობამ - მენეჯმენტმა იმსჯელა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- ✓ რა მიმართულებით უნდა წავიდეს კოლეჯი?
- ✓ რამდენად სურს განავითაროს სუსტი მხარეები?
- ✓ რა მიმართულების განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი?

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლეჯის მისიის, მიზნებისა და ამოცანების დახვეწა/სრულყოფაში. რომელიც კონკრეტული პერიოდისთვის ქონდა კოლეჯს.

## [რელევანტური სტრატეგიების შემუშავება]

კოლეჯის სტრუქტურულმა ერთეულებმა, კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრატეგიები. ფორმა მიეცა იმ იდეებს, რაც წინა საფეხურებზე გამოიკვეთა და აისახა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში.

## [მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დახვეწა]

ამ ეტაპზე დაიხვეწა 2016-21 წლის სტრატეგიული განვითარების ექვს წლიანი გეგმა და ნაბიჯები, თუ როგორ არის შესაძლებელი კონკრეტული მიზნების მიღწევა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისათვის. ასევე დამუშავდა 2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მოცემულ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ხელმძღვანელები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორი პრაქტიკის ობიექტები, აგრეთვე გათვალისწინებული იქნა პროფესიული სტუდენტების შეხედულებებიც.

## [სტრატეგიის შეფასება, შესწორება, მონიტორინგი]

კოლეჯის სტრუქტურულმა ერთეულებმა ფინანსურ სამსახურთან ერთად, დეტალურად დაამუშავა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის ახალი ვერსია, მისი ფინანსური მხარე.

კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივად განახორციელებენ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულება.

გეგმებით დასახული მიზნების მიღწევაზე მონიტორინგის საშუალებით მოხდება დაკვირვების შედეგების მოპოვება/გაანალიზება/ შეფასება, რისი საშუალებითაც შესაძლებელია გეგმიდან „აცდენის“ დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი პრობლემის დადგომამდე. მონიტორინგი გვეხმარება კოლეჯის პერსონალისთვის, შესრულებულ

სამუშაოსთან დაკავშირებით უკუკავშირების ეფექტურად წარმართვაში. გეგმის განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემები საჭიროებენ სიღრმისეულ ანალიზს, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას და მათი ნეგატიური გავლენის აღმოფხვრას.

## სვოტ ანალიზის შედეგები

### ძლიერი მხარეები:

- საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის 25 წლიანი გამოცდილება
- კოლეჯის საკუთრებაში არსებული შენობა , თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურით
- ბიბლიოთეკაში არსებული მდიდარი წიგნადი ფონი
- სტუდენტების არსებობა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება
- აქტიური თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან
- პოტენციურ დამსაქმებლებელთა მონაცემთა ბაზის პერმანენტული ზრდა
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა სახის ტრენინგებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა
- კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი

### სუსტი მხარეები:

- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის არაეფექტური მექანიზმები საერთაშორისო კონტაქტების არარსებობა
- საზოგადოებასთან ურთიერთობის არაეფექტური მექანიზმები
- კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის დაბალი ხარისხი
- მასწავლებელთა და თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებელი მექანიზმების ნაკლებობა



## შესაძლებლობა:

- შრომის ბაზრის-დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლა და აღნიშნულზე დაყრდნობით, შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დამატება;
- კოლეჯის პედაგოგების პროფესიული გადამზადება და მათი უნარ-ჩვევების პროფესიულ განათლებაში მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან მორგება.
- პარტნიორი პოტენციურ დამსაქმებელთა რაოდენობის გაზრდა და შესაბამისად დასაქმებული კურსდამთავრებულთა ზრდა;
- სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობით, მათი სოციალიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა.
- მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსებისადმი მოთხოვნის ზრდა

## საფრთხეები:

- პოტენციურ სტუდენტთა ზოგადი განათლების დონის პერმანენტული გაუარესება
- საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელიც არაპრესტიჟულს ხდის პროფესიულ განათლებას
- საკანონმდებლო დონეზე მოსალოდნელი სისტემური ცვლილებები ავტორიზაციის სტანდარტებში
- საგანმანათლებლო სივრცეში მსგავსი მომსახურეობის დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა
- მასწავლებლების მხრიდან სიახლეებისადმი ხისტი დამოკიდებულება
- ქვეყანაში პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკური ფონის გაუარესება

სტრატეგიული მიზანი N1. ინსტიტუციური განვითარება

ამოცანა							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	რისკები
	2016	2017	2018	2019	2020	2021			
1. 1. საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერი სამართლებრივი ბაზის მუდმივი განვითარება							სამართლებრივი/ნორმატიული ბაზის შექმნა	დირექტორი, იურისტი	
1. 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პერმანენტული განვითარება და ხარისხის გარე მოთხოვნების დაკმაყოფილება							მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარები; კითხვარების ანალიზი; ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
1. 3. საგანმანათლებლო მიზნებისთვის( ყოველი ახალი პროგრამის დამატების შემთხვევაში) მატერიალური რესურსის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულყოფა;							მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია	დირექტორი; იურისტი; ფინანსური მენეჯერი	
1. 4. ვებგვერდის პერმანენტული ფორმირება:							ავტორიზაციის განახლებული სტანდარტის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც შესაძლებელია გონივრულ ვადებში ინფორმაციის მოპოვება	IT სპეციალისტი, დირექტორი, იურისტი, ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი	

1.5. ბაზრის კვლევა, საზოგადოებრივი მოთხოვნის ანალიზი პროგრამებთან მიმართებაში							კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია	დირექტორი, ხარისხის სამსახურის მენეჯერი	
1.6. სტუდენტთა მოზიდვის კამპანიის წარმოება, სოციალური მედია საშუალებების და შეხვედრების გზით							კამპანიის წარმოების გაწერილი გეგმა პერიოდებისა და ადგილების მითითებით	დირექტორი, მოქმედი პროფესიული სტუდენტები, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი	

**სტრატეგიული მიზანი N2. მოდულური პროგრამების დანერგვა და განვითარება**

ამოცანა							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	რისკები
	2016	2017	2018	2019	2020	2021			
2.1. ახალი მოდულური პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული ღონისძიებები							ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
2.2. პროგრამის დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვა							შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები	
2.3. სასწავლო პროცესის ორგანიზება							სასწავლო გეგმები და თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებული სასწავლო	სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	

							პროგრამების შესაბამისი ცხრილები		
2.4. პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა, სტაჟირების/საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად ხელშეკრულების გაფორმება							ხელმოწერილი ხელშეკრულებები	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	

**სტრატეგიული მიზანი N3. მატერიალური რესურსის განვითარება**

ამოცანა							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	რისკები
	2016	2017	2018	2019	2020	2021			
3.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ახალი პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესება							სასწავლო გარემოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ვიზუალური დათვალიერება	დირექტორი	

**სტრატეგიული მიზანი N4. ადამიანური რესურსის განვითარება**

ამოცანა							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	რისკები
	2016	2017	2018	2019	2020	2021			
4.1 პროგრამის განმახორციელებელთა/მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული გადამზადება /ტრენინგი;							ტრენინგის მასალები, ჩატარებული ტრენინგი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	

4.2. ტრენინგი მოდულის განხორციელების კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით							მოდულების შედეგების შეფასების ინსტრუმენტების ელექტრონული ბაზა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
--	--	--	--	--	--	--	---	----------------------------------	--

**სტრატეგიული მიზანი N 5. თანამშრომლობა პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან**

ამოცანა							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	რისკები
	2016	2017	2018	2019	2020	2021			
5.1. მოქმედ სახელმწიფო სასწავლებლებთან ურთიერთობების გაღრმავება							შეხვედრების ორგანიზების გეგმა პასუხისმგებელი პირების მითითებით	დირექტორი; იურისტი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
5.2. ერთობლივი/გაცვლითი პროექტების განხორციელება სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან							სამუშაო ჯგუფის შექმნა და ერთობლივი პროექტების შემუშავება	დირექტორი; იურისტი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
5.4. პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა სტაჟირების/საწარმოო პრაქტიკის ერთობლივი განხორციელება							გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესახებ	დირექტორი, იურისტი	

